საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 133 (412) საშაბათი, 21 ივლისი, 1992 წელი. ფასი 2 მანეთი

ნუხელ შევიტყვეთ

სოხუმიდან გვატყობინებენ

პრესკონფერენცია საგაფიცვო კომიტეტში

როგორც ცნობილია, სოხუმში ე. წ. აფხაზური გვარდიის მიერ ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფალთა წაქეზებით, 24 ივნისს, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის „შტურმით აღების", სამინისტროს მუშაკთა შეურაცხყოფის, მათ შორის მინისტრისთვის ფიზიკური ტრავმის მიყენების ფაქტებმა აფხაზეთში მცხოვრები ქა-...

ხსნის ოზიზაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ უშიშროების საბჭომ თავის 3091-ე შეკრებაზე დღეს, 1992 წლის 6 ივლისს, მიიღო რეზოლუცია 763 (1992 წ.), რომელიც ურჩევს გენერალურ ასამბლეას მიიღოს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

„უშიშროების საბჭომ, გააანალიზა რა საქართველოს რესპუბლიკის თხოვნა გაეროში გაწევრიანების შესახებ, ურჩევს გენერალურ ასამბლეას საქართველოს რესპუბლიკის მიღებას გაეროს წევრად".

მსურს მოგილოცოთ ეს მოვლენა და გადმოგცეთ უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის მიერ საბჭოს წევრების სახელით წარმოთქმული სიტყვა.

„უშიშროების საბჭო რეკომენდაციას უწევს საქართველოს რესპუბლიკის გაეროში გაწევრიანებას. დიდი ხალისით ვულოცავ საქართველოს ამ ბედნიერ ისტორიულ მოვლენას ჩემი და საბჭოს წევრების სახელით. ჩვენ მოუთმენლად ველით უნივერსალობის პრინციპის შემდგომ განმტკიცებას. საქართველოს ცდა — გაიზიაროს ქარტიის პრინციპები და მიზნები, რომლებსაც განეკუთვნება კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისა და იარაღის გამოუყენებლობის პრინციპები, დიდ მხარდაჭერას იწვევს უშიშროების საბჭოს წევრებში. საბჭოს ყველა წევრი მოუთმენლად ელის ახლო მომავალში იმ დღეს, როდესაც საქართველო შემოგვიერთდება, როგორც გაეროს წევრი".

დიდი პატივისცემით

ბუტროს ბუტროს-ღალი,
გაეროს გენერალური მდივანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

დიდ მადლობას მოგახსენებთ 1992 წლის 4 ივნისით დათარიღებული წერილისთვის, რომელშიც გულთბილი სიტყვები გამოთქვით საბერძნეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ ქალაქ ოლიმპიისთვის ნაბოძები ცნობილი ქართველი მოქანდაკის გ. შხვაცაბაიას მონუმენტის „მშვიდობის ჩირაღდნის" გახსნის გამო.

ეს მონუმენტი ჩვენი ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ჩინებული სიმბოლოა.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობების ახლანდელ პერიოდში ჩვენს შორის კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება და ჩვენი თანამშრომლობა ყველა სფეროში მნიშვნელოვნად განვითარდება.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენი ხალხის აღმავლობის გზაზე.

კონსტანტინოს კარამანლისი,
საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ათენი, 24 ივნისი, 1992.

არ უნდა არსებობდეს საქართველოში კუთხე-კუნჭული, სადაც ხელისუფლებას ჩასვლა არ შეეძლება, და თუ არის, მაშინ ეს, ერთი მხრივ, ქვეყნის დაშლის, ხოლო მეორეს მხრივ, ხელისუფლების უსუსურობის ნიშანია

რკინიგზა: ყველა შემადგენლობას შეიარაღებული პირები დაიცავენ, მძარცველებმა ეს უნდა იცოდნენ...

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 17 ივლისის სხდომა

17 ივლისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს დასავლეთ საქართველოში რკინიგზის მაგისტრალის ზოგიერთი გადასარბენის დაცვის ღონისძიებები. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა რკინიგზის უფროსმა რეზო ჟაშაკიძემ. ...

აყრის და აფეთქების შიშით მატარებლები საათში მხოლოდ 15 კილომეტრის სიჩქარით დადიან და მათი გაჩერება ადვილია... მართალია, ამ ბოლო ათი დღის განმავლობაში რკინიგზაზე აფე-...

ობიექტების დაცვის კონკრეტული ღონისძიებები, ითქვა პრეზიდიუმის სხდომაზე, და შეუდგეს მათ განხორციელებას.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუ-...

მაგალითად, 16 ივლისის ღამეს მატარებლის დაცვას თავს დაესხა აფხაზეთის გვარდია და თარაღი წაართვა, მერე ის მატარებელი გაძარცვეს.

ვითარების გაუმჯობესებას ისიც უშლის ხელს, აღინიშნა რკინიგზის უფროსის გამოსვლაში, რომ შემადგენლობების სიჩქარის გაზრდა არ ხერხდება. ლიანდაგების ...

შემადგენლობების დაცვა საარსებო მნიშვნელობის პრობლემაა.

ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ მთელი საქართველოს, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ეს ძირითადი სასიცოცხლო არტერია შეუფერხებლად არ ფუნქციონირებდეს, აღნიშნა მან.

საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს ამ ...

ობს გალის გადამცემი კვანძი, რომელიც თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს აწვდის სატელევიზიო სიგნალს. როგორც კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ფრიდონ ინჯიამ განმარტა, იგი „ზვიადისტებმა" რამდენჯერმე გააფუჭეს და ამჟამადაც გამორთულია, რადგან აფეთქებით იმუქრებიან.

პრესის გავრცელების სამსახურმა, რომელიც ასევე კავშირგაბმულობის სამინისტროს ეკუთვნის, ფაქტობრივად ჩაშალა ეს საქმე, ითქვა სხდომაზე. ამიტომ სამინისტროს წინადადებით მიეცა სპეციალური კოლეგია მიუძღვნას ამ საკითხს და მიიღოს მტკიცე ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

...ბისთვის, არ უნდა შეანელონ თავიანთი ძალისხმევა, საჭიროა ამ თავითვე აღვკვეთოთ ახალგაზრდული მაფიოზური რეკეტული ჯგუფების მოქმედება, რომელმაც ამ ბოლო ხანს იჩინა თავი. საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს მილიციისა და გამოძიების მუშაკთა წახალისების ღონისძიებებიც.

ინტერვიუ ნომერში

ვალერი კვარაცხელია: თუ მიზანი ერთი გვაქვს, შევუნდოთ ერთმანეთს!

გვიმასპინძლე შენებურად, ჩემო გოლუაფირო!

სხვა სიტუაცია რომ იყოს, მეგრელ კაცს ეგებ შეურაცხყოფადაც კი მიეღო ამ ინტერვიუს ქვესათაური და ეფიქრა: რასაა რომ ამბობ, მასპინძლობას ვინ გვასწავლის ჩვენო... მაგრამ ახლა, როცა ასე დაძაგრულან ძმები, როცა მათ შორის, საუბედუროდ, უკვე სისხლიც დაიღვარა, ძნელია ნერვების მოთოკვა, სალად აზროვნება... მოდა, ემანდ ვინმემ რაიმე ურიგობა არ ჩაიდინოს ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და სახელმწიფო საბჭოს წევრების სამეგრელოში ყოფნისას და სამეგრელოს, ანუ სრულიად საქართველოს მთლიანად არ მოსჭრას თავი...



ბული ქარტეხილების ნიუანსებში, დაქვა პრეზიდენტყოფილის მხარეს და ამით ბოროტებას უქმია გუნდრუკი.

— ეს თავისდაუნებურად...

— ცხადია, ბევრი თავისდაუნებურად... ამგვარმა გაუცნობიერებელმა ვითარებამ მიგვიყვანა ძმათა სისხლისღვრამდე...

— თუ ხედავთ გამოსავალს?

— მე ვფიქრობ, ურთიერთდათმობა, შერიგება, პატიება ერთადერთი გამოსავალი... რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება, მტყუან-მართალს დრო გაარჩევს და ახლა, გვინდა-არ გვინდა, მხოლოდ ერთმანეთის მიტევების პოზიციაზე უნდა დავდგეთ. ღმერთმა ინება, რომ საქართველო იმ მიზნისკენ მიდის, რომლისთვისაც, ...

საზომი კი სწორედ ეს არის... თორემ ისე, რაც ამ გაზეთში ჟურნალისტური ეთიკა ფეხქვეშ არის გათელილი, ცალკე დიდი საუბრის თემაა.

ერთი სიტყვით, იმას მოგახსენებდით, რომ საქართველო ხდება ისეთი სახელმწიფო, როგორიც ჩვენს მამა-პაპათ უნატრიათ, და როგორმე უნდა შევრიგდეთ, უნდა გადავეხვიოთ ერთმანეთს. აი, ხედავთ, ერთი კვირაა ცხინვალში სროლა აღარ ისმის, ხალხი მინდვრად გავიდა, შრომობს... ეს სამარცხვინო კონფლიქტი, მგონი, თანდათან გვარდება. სხვათა შორის ყოველივე ამას მოლდოვეთში „კონფლიქტის მოგვარების ქართული ვარიანტი" უწოდეს და ფიქრობენ, ჩვენც ხომ არ გამოვიყენოთო.

— და მაინც, როგორ ფიქრ-...

ზაურ ნადარეიშვილი.

შეიქმნა მუდმივმოქმედი საინფორმაციო ლექტორიუმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სოციალური მართვის ცენტრთან შეიქმნა და მუშაობა დაიწყო სამეურნეო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა საინფორმაციო მუდმივმოქმედმა ლექტორიუმმა. მისი მიზანია მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტებისა და უწყებების, მმართველობის ...

...ის პროცესის დაჩქარების, მეწარმეობის განვითარების, საინვესტიციო, საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის, მოსახლეობის სოციალური დაცვის და სხვა საკითხებს. სისტემატურად მოეწყობა ბრიფინგები, სემინარები, შეხვედრები. ჩატარდება სოციალური გამოკვლევები რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესასწავლად.

ლექტორიუმი გაიმართება თვეში ორჯერ, ყოველ მეორე და მეოთხე ხუთშაბათს. მასზე განიხილავენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სტაბილიზაციის უზრუნველყოფის, ეკონომიკური კავშირების ახალი მიმართულებებისა და სტრუქტურული გარდაქმნების, პრივატიზაცი-...

...რესპუბლიკაში ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობის უზრუნველყოფისა და სამეურნეო საქმიანობის რეგულირების დინამიკური მექანიზმი" იქნება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის თეიმურაზ დვალის საუბრის თემა.

სამაჩაბლოს მინდვრებში ტანკების ნაცვლად ახლა კომბაინებს ვხედავთ

ნიქოზი, 20 ივლისი. საქინფორმის კორესპონდენტები რობერტ ცუცქირიძე და თემო ნაფიშვილი იტყობინებიან:

ამ რამდენიმე დღის წინათ სამაჩაბლოში გამავალი ფრონტის ხაზზე ერთ-ერთ ცხელ წერტილად ცნობილი სოფელი ნიქოზი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. საქართველოს, რუსეთისა და ოსეთის ინტერნაციონალური სამშვიდობო ძალების სამხედრო შენაერთის შემოსვლის შემდეგ ომის ცეცხლი შეწყდა.

— გულუბრყვილობა იქნება, თუ ვინმეს ჰგონია, თითქოს სამწლიანი ომით მოყენებული ჭრილობები ერთ დღეში მოშუშდება. მთავარია, რომ სროლა შეწყდა და ხალხმა შვებით ამოისუნთქა, იარაღი გვერდზე გადადო და ბაღებს ...

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

...დენტს აცნობეს, რომ დარგში მდგომარეობა უნუგეშოა.

საქართველოს მიწათმოქმედების წამყვან დარგს რთული დრო დაუდგა. და ყველა, ვისზეც ასე თუ ისე დამოკიდებულია მდგომარეობის სტაბილიზაცია, მოვალეა დაეხმაროს მეჩაიეობას.

ნომერში

⊙ ღვინის ბირჟა ასპარეზზე გამოდის. 2

⊙ კურორტი მეორეხარისხოვანი პრობლემა არ არის. 3

⊙ თურქული პრესის ერთიანი აზრი. 3

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს!

3 დღე, მხოლოდ 3 დღე რჩება „საქართველოს რესპუბლიკაზე" ხელმოწერის გასაფორმებლად წლის ბოლომდე.

თუ გსურთ ფლობდეთ უახლეს ინფორმაციას, იცოდეთ როგორ წყდება ჩვენი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების უმწვავესი და უმთავრესი პრობლემები, როგორ მიმდინარეობს საქართველოს ინტეგრირება მსოფლიო თანამეგობრობაში,

გამოიწერეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

ეს თქვენ მხოლოდ 2 კოლოფი სიგარეტის ფასი დაგიჯდებათ — 110 მანეთი.

იჩქარეთ, და მოიგებთ, რადგან ხელმომწერებისათვის გაზეთის ეგზემპლარი 1 მანეთია, ჯიხურში კი 2 მანეთად გაიყიდება.

ჩვენი გაზეთის ინდექსია 66484.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში რეფორმების პერიოდში კულტურის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ

სახელმწიფო საბჭო აღიარებს კულტურის ფუძემდებლურ როლს საზოგადოების განვითარებაში.

სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კრიზისული მოვლენები უშუალოდ შეეხო კულტურას, და შეშფოთებას გამოთქვამს ამის გამო.

საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლასთან დაკავშირებით, კულტურის სფეროში არსებულ პრობლემათა გადაჭრის და მისი დაცვის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული კულტურის დაცვა და განვითარება გამოცხადდეს სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავად.

სახელმწიფო კულტურის სფეროში აღიარებს შემოქმედებითს თავისუფლებას, იცავს საავტორო უფლებებს, უარყოფს მონოპოლიზმს და ბიუროკრატიულ-მმართველობითს ფორმებს, უზრუნველყოფს კულტურის დაწესებულებათა ავტონომიურობას.

2. კულტურის სფეროში პრიორიტეტი მიენიჭოს საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის აქტებთან მიმართებაში.

3. შეიქმნას იმის გარანტიები, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ისარგებლოს კულტურის ღირებულებათა შექმნის, გამოყენებისა და გავრცელების თანაბარი უფლებებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის, ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენის, პარიზის, სხვა საერთაშორისო თათბირების და საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

4. შემუშავდეს ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

5. ისტორიული და კულტურული ღირებულებანი ეროვნული საგანძურია, რომელსაც იცავს სახელმწიფო და საზოგადოება.

უმოკლეს ვადაში უნდა განისაზღვროს ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერების, ობიექტების, ორგანიზაცია-დაწესებულებების, შემოქმედებითი კოლექტივების ნუსხა, რათა გადაუდებლად უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათი დაფინანსება.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში განახორციელონ კულტურის სფეროს საფინანსო-მატერიალური უზრუნველყოფა.

6. შემუშავდეს ეროვნული კულტურის იმ საგანძურის, ძეგლების, სამუზეუმო ღირებულებების, ბიბლიოთეკების, არქივებისა და სხვა კულტურული ღირებულებების ობიექტების ნუსხა, რომლებიც არ ექვემდებარება პრივატიზაციას.

კულტურის დანიშნულების დანარჩენი ობიექტების პრივატიზაცია დაიწყოს მათი მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისა და სპეციალური პროგრამების შემუშავების შემდეგ.

7. სრულყოფილ იქნეს კულტურის ღირებულებათა, ისტორიისა და კულტურის ძეგლების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კანონმდებლობა.

8. განათლების სისტემაში მოხდეს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის სწავლების სრულყოფა.

უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული და მსოფლიო კულტურის სულიერ ღირებულებათა და მიღწევათა საყოველთაო მისაწვდომობა.

9. გააქტიურდეს უცხო ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კულტურული თანამშრომლობა, იუნესკოს და სხვა საერთაშორისო კულტურულ პროგრამებსა და აქციებში მონაწილეობა.

10. დაევალოს საქართველოს მთავრობას:

— ხელი შეუწყოს სახელმწიფო-საბიუჯეტო, კომერციული და საქველმოქმედო სახსრების მოზიდვას კულტურის სფეროს დასაფინანსებლად; გარდამავალ პერიოდში არსებული ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით შეიმუშაოს კულტურის დაცვის ფინანსური მექანიზმი;

— ხელი შეუწყოს კულტურის დაწესებულებებისთვის სრული სამეურნეო თავისუფლების მინიჭების, თვითდაფინანსების წყაროების ძიებაში მათი საქმიანობის სტიმულირებას;

— გაათავისუფლოს გადასახადებისაგან შემოქმედებითი კავშირები და მათ სისტემაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები;

— განახორციელოს კულტურის სფეროში არსებული სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა ცივილიზებული სამყაროს გამოცდილების შესაბამისად;

— ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პირობებში კულტურის განვითარებისა და დაცვის პროგრამა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 6 ივლისი.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საიდუმლოებათა დაცვისთვის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის შესახებ.

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად გაუქმდა ცენზურის ორგანო — მთავლიტი და შეიქმნა მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექცია (საქართველოს საიდუმლოებათა დაცვის სახინსპექცია).

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად დაინიშნა **გიორგი ბაგრატის ძე ნაჭყებია.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საიდუმლოებათა დაცვის სახელმწიფო ინსპექციას დაევალა დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და ფირმების წარდგინებით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსახილველად წარმოუდგინოს სახელმწიფო საიდუმლოებათა ნუსხის ნომენკლატურა.

გაიმიჯნოს მითი და სინამდვილე

ქართული მხედრობის ღირსებისა და ინტერესების დამცველი საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის განცხადება

იმის გამო, რომ წარსული ხელისუფლების მცდელობით საგრძნობლად შეილახა „მხედრიონისა" და „გვარდიის" ღირსება, რის გამოც საზოგადოებაში, ხალხში ჩამოყალიბდა მათთან დამოკიდებულების სტერეოტიპი და რახაც თან ერთვის მხედრობის მიმართ მცდარი დამოკიდებულების გაღრმავება ახალი ხელისუფლების პირობებში, რაც უსამართლობა მათ მიმართ და ზიანია საზოგადოებისა და მთლიანად ერისათვის — საჭიროდ შივაჩნია ჩამოვაყალიბოთ „ქართული მხედრობის (სადღეისოდ „მხედრიონისა" და „გვარდიის") ღირსებისა და ინტერესების დამცველი საზოგადოება".

საზოგადოების ძირითადი მიზნები იქნება: გამიჯნოს მითი და სინამდვილე ქართული მხედრობის შესახებ, უსაფუძვლო და საფუძვლიანი ბრალდებანი.

ორგანიზაცია გაუკეთოს ინფორმაციის შეგროვებას, შესწავლას და გაანალიზებას „მხედრიონისა" და „გვარდიის" მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დადებით თუ უარყოფით მოვლენებზე.

მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია რომლის სისწორეზეც საზოგადოება პასუხს აგებს როგორც იურიდიული პირი. იზრუნოს „მხედრიონისა" და „გვარდიის" მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერაზე, მხედართა და მათი ოჯახების, აგრეთვე დაღუპულ მხედართა ოჯახების სოციალურ უზრუნველყოფაზე.

წარმოაჩინოს „მხედრიონის" და „გვარდიის" ღვაწლი ერის წინაშე.

საზოგადოების ყურადღებისა და ზრუნვის სფეროში დარჩება ყოველი მხედრიონელი და გვარდიელი, როგორც სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი მხედრები, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი არ გააგრძელებენ სამსახურს რეგულარულ არმიაში.

რეგულარული არმიის ჩამოყალიბების შემდეგ საზოგადოება თავის მოღვაწეობას წარმართავს რეგულარული არმიის საკეთილდღეოდ, დაიცავს მისი თითოეული მხედრის და მათი ოჯახების პიროვნულ, საზოგადოებრივ და სოციალურ ინტერესებს.

საინიციატივო ჯგუფი.

ტერილი რედაქციას

როდის და რა პირობებში ჩავატაროთ არჩევნები აჭარაში?

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უკვე მერამდენე თვეა ცდილობს მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი აჭარის უზენაესი საბჭოს „დათხოვნის" სასარგებლოდ და მის ნაცვლად შექმნას ან, ალბათ, მორჩილი აჭარის ე. წ. „სახელმწიფო საბჭო", რაც აშკარა კონსტიტუციური დარღვევისა და, შესაბამისად, ზემოდან რეგიონის კონსტიტუციური წყობილების დამხობის ცდაა, ან კიდევ, ახალი, ვადამდელი არჩევნების სწრაფად ჩატარების გზით ახალი უზენაესი საბჭო ჩამოაყალიბოს.

ამ უკანასკნელმა, განზრახვის ავტორთა ილუზიით, ასევე მორჩილი უზენაესი საბჭოს არჩევა უნდა უზრუნველყოს. ორივე ვარიანტი მიზნად ისახავს აჭარის ქმედუნარიანი პარლამენტის დისკრედიტაციას და, რაც მთავარია, ძლიერი საპარლამენტო ოპოზიციის ნეიტრალიზებას, მის ჩამოშორებას აქტიური ზოგადქართული და რეგიონული პოლიტიკისაგან. ერთისა და მეორის განხორციელება აჭარის, ჩვენი აზრით, არამდგრადი ხელისუფლების საქმიანობაზე კონტროლის დაკარგვას ნიშნავს და მიუღებელია საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. არაფერს ვამბობთ ღიმილისმომგვრელ აჭარის ე. წ. „სახელმწიფო საბჭოზე".

ვადამდელი არჩევნების ჩატარების დაჩქარება ახლანდელ პირობებში კატეგორიულად მიზანშეუწონელია: აჭარაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს საქმიანობის ელემენტარული პირობები არ გააჩნიათ. ამ დროს კი, ხელისუფლება ყველა პირობას უქმნის გასახელმწიფოებრივებულ პარტიას, „სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირს" სახელმწიფო ხაზინიდან უშუალო თუ არაპირდაპირი დაფინანსებით, მეტიც, სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებისა და კოოპერატივის ხელმძღვანელებს აიძულებენ უხვად დააფინანსონ აღნიშნული „კავშირი";

აჭარაში ხელისუფლების არც ერთ რგოლში დღემდე არ დაწყებულა მართვის დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების პროცესი. კონსტიტუციურად სრულიად გაუმიჯნავია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. რაიონებსა და ქალაქებში ხელისუფლება ერთპიროვნულად დანიშნულ არაკონსტიტუციურ და არადემოკრატიულ ორგანოებს — არსებითად პრეფექტებს — „მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს" უპყრიათ. მონოპოლიზებულია, ხელმიუწვდომელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი: პრესა, რადიო, ტელევიზია. არ არის შექმნილი ჭეშმარიტად დემოკრატიული საარჩევნო კანონი. თითქმის არც ერთ პოლიტიკურ გაერთიანებას არა აქვს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის საწყისი ელემენტარული პირობები. პოლიტიკური ლოგიკა, დარჩენილი დრო მოითხოვს ჯერ საქართველოს პარლამენტის არჩევას და საქართველოს ახალი კონსტიტუციით ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობისა და პრინციპის განსაზღვრას.

ამასთან ვაღიარებთ და ვითვალისწინებთ იმასაც, რომ მოქმედი უზენაესი საბჭო ვერ ასახავს მთლიანად აჭარის საზოგადოების რეალურ პოლიტიკურ სურათს, ვინაიდან, თავის დროზე რიგ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო, არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა. ამიტომ დროებით, ახალ არჩევნებამდე, საჭიროდ მიგვაჩნია ამ არასაპარლამენტო პოლიტიკური გაერთიანებების ჩართვა რეგიონის მართვა-გამგებლობაში, რომლის ერთ-ერთ ფორმად გვესახება პრეზიდიუმთან ან უზენაეს საბჭოსთან ამ გაერთიანებათა სათათბირო სტატუსის მქონე ორგანოს შექმნა, რაც, უპირველესად, კუთხის სტაბილიზაციას წაადგება.

ზემოთ ჩამოთვლილ პირობათა და გარემოებათა გაუთვალისწინებლობა საფუძველშივე გამორიცხავს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ აძლიერებს ჩვენს რწმენას, რომ მათი გათვალისწინებით არჩეული ჩვენი რეგიონის ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო— უზენაესი საბჭო ჩართავს მასში ყველა პოლიტიკურსა და ინტელექტუალურ ძალას, წარმატებით იპოვის კრიზისიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს, უზრუნველყოფს ზოგადქართული, ჭეშმარიტად ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას და გახდება ერისა და ქვეყნის შეკავშირებისა და გამთლიანების ერთ-ერთი მძლავრი გარანტი.

ბათუმის სახალხო ფრონტის სახელით ხ. კვაჭაძე; საქართველოს სახალხო ფრონტის აჭარაში მოქმედი ორგანიზაციების სახელით ა. ბერიძე, ნ. ზოიძე, ნ. დიასამიძე; საქართველოს რესპუბლიკური პარტიის აჭარაში მოქმედი ორგანიზაციების სახელით თ. ყურაშვილი, გ. დუაძე; საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის აჭარაში მოქმედი ორგანიზაციების სახელით ტ. მახარაძე, ვ. კენჭაძე; საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ბათუმის საოლქო გაერთიანების სახელით დ. აფხაზავა; საქართველოს ხელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების სახელით ს. შარაძე; საქართველოს დემოკრატიული კავშირის აჭარის რეგიონში მოქმედი ორგანიზაციების სახელით ა. ტაკიძე.

ბათუმი. ივლისი, 1992 წელი.

ბირჟა და მევენახე

შექმნილი მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარების გამო გლეხკაცი უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თანაბრად უჭირს რესპუბლიკის ყველა კუთხეს, უჭირს სოფლის ყველა მოსახლეს, ყველა სასოფლო კულტურის მწარმოებელს —ყურძენი იქნება, ჩაი თუ ციტრუსი.

მართლაც უმძიმეს პერიოდსა და პირობებში უხდებათ წლეულს გარჯა მეწვრეებს — არის გაურკვევლობა, ხშირად გლეხი გონს ვერ მოსულა, არ იცის რა გზას დაადგეს, აწუხებს ტექნიკის, საწვავის უქონლობა, სასუქისა თუ შესაწამლი მასალების მიუწვდომელი ფასები.

გადავწყვიტეთ ვწვეოდით ჩვენში საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ნაბოლარა წარმონაქმნს — საქართველოს მეღვინეობის ბირჟას. იგი ამ ცოტა ხნის წინათ დაარსდა. მისი დამფუძნებლები და აქციონერები უმთავრესად არიან ღვინის ქარხნები. ამ ბირჟის შექმნის თვით ფაქტი ჩვენი დღევანდელობის, საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალი გზის დამახასიათებელი და სპეციფიკური ნიშანია.

ბირჟას სათავეში უდგას ამ საქმის ინიციატორი და ენთუზიასტი, ინგლისში ბიზნესის სკოლაგამოვლილი ახალგაზრდა, 29 წლის კომერსანტი გია მაისაშვილი.

მეწვრეს ათასი რამ სჭირდება, ათასი პრობლემის წინაშე დგას, შველას ითხოვს. რით წაადგება მას ბირჟა?

არ მინდა ვიფიქრო, თითქოს ღვინის ბირჟა ერთადერთი დაწესებულებაა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მეღვინეობისა, და მით უმეტეს, მევენახეობის ყველა პრობლემა. არა, რა თქმა უნდა. პირიქით, იქნებ სხვა სტრუქტურებს უფრო ევალებათ და ხელეწიფებათ იგი, მაგრამ, რადგანაც ამ ბირჟის ავ-კარგი და უფუნა-არყოფნა სწორედ ვენახზეა დამოკიდებული — იქნება ყურძენი, იქნება ღვინოც (აღარაფერს ვამბობთ შამპანურზე, კონიაკზე, არაყზე) და მაშასადამე, აყვავება და გაფურჩქვნა ელის თვით ბირჟასაც, ქართული ღვინოც საერთაშორისო ასპარეზს გაიფართოებს.

სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ ბირჟის ვიცე-პრეზიდენტს, მეღვინეობის გამოცდილ სპეციალისტს მერაბ ჯაფარიძეს.

— წელან, როცა მევენახეობისადმი დახმარებაზე ლაპარაკობდით, თქვით, ეს უშუალოდ თქვენი ინტერესებიაო. სწორია, ინტერესი ჩვენია, ფუნქცია კი სხვისი. მოგეხსენებათ, ბირჟის უმთავრესი და ალბათ ერთადერთი, დანიშნულება მწარმოებელსა და გამსაღებელს შორის შუამავლობა, გარიგების ორგანიზაციაა. იგი თვითონ არც ქმნის პროდუქციას და არც ვაჭრობს.

— ხომ არ გამოდის, რომ მევენახეების საჭიროებასთან თქვენ ბირჟას არაფერი ესაქმება?

— არა, რას ბრძანებთ, ჩვენ მაინც ჩვენის მხრივ ვცდილობთ...

— მაინც, უფრო კონკრეტულად.

— მოგეხსენებათ, ღვინის ბირჟა დახურული ტიპისაა— ჩვენთან ურთიერთობა აქვთ გადამამუშავებელ საწარმოებს, მაგრამ, მაინც, ვეწევით მოლაპარაკებას პარტნიორებთან. აი, რუსეთის ერთ-ერთ ფირმასთან ვამზადებთ გარიგებას იმის თაობაზე, რომ 130 ტონა შაბიამანი შემოვიტანოთ, სანაცვლოდ კი ღვინო, არაყი, კონიაკი მივცეთ. პირობები ზუსტდება.

მინსკიდან შემოგვთავაზე ს „ბელარუსის" მარკის ტრაქტორები, თუმცა უომრავლოდ ძვირს აფასებენ — მილიონზეა ლაპარაკი. ხელს არ გვაძლევს. მოლაპარაკებას ვიწყებთ კიშინიოვის ქარხანასთან სავენახე ტრაქტორების შესყიდვაზე. სამაგიეროდ, ითხოვენ ლითონის მილებს, და სხვათა შორის, გაგიკვირდებათ, შამპანურს და ღვინო-კონიაკსაც (მოლდოვაში!), რადგან მათთან უფრო ძვირად ფასობს.

ცნობილია, როგორ გვიჭირს სასმელის ტარა. ქსნის, ხაშურის, ბორჯომის შუშის ქარხნებში ვერ აუდიან მის დამზადებას. მათ ამისათვის აუცილებლად სჭირდებათ კალცინირებული სოდა. მოსკოვის საკუთარი საზოგადოების სასაქონლო-სატონდო ბირჟა „ნახოდკა" თანახმაა სოდა მოგვყიდოს, მაგრამ პირობაა მკაცრი — საქონელს მოსკოვამდე ჩამოვიტანთ, იქიდან თქვენ გაიტანეთო. წარმოიდგინეთ, რა სირთულეებთან არის ახლა დაკავშირებული ტვირთის ტრანსპორტირება — გადაცვები, დაუმორჩილებლობა, გზებზე დივერსიები... დღეს ის ძალიან ზღუდავს, აფერხებს კომერციული საქმიანობის გაფართოებას, პარტნიორები გაურბიან გარიგებების გაფორმებას.

— წელანაც ვთქვი, ათასი სატკივარი აწუხებს ვენახსა და მევენახეს. ამ მხრივ კიდევ რისი გაკეთება შეუძლია ბირჟას?

— შეგვიძლია მოვიპოვოთ და მივაწოდოთ ინფორმაცია, და ეს არის სწორედ ბირჟის თავიდათავი ფუნქცია. დავუზუსტებთ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ, მათთვის საჭირო რა საქონელი იყიდება, რა ფასად, დავალება თუ იქნება, შეგვიძლია შევუძინოთ კიდეც.

— კერძოდ, როგორ მოახერხებთ, ბატონო მერაბ, ამ ინფორმაციის მოპოვებას და უშუალოდ დაინტერესებული მხარისთვის გაცნობას?

— იცით, ჩვენი კომპიუტერები ჩართულია თანამეგობრობის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოების საერთაშორისო ქსელში, საიდანაც მყისიერად ვიღებთ ცნობებს ამა თუ იმ საქონლის არსებობის, მარაგის, სხვა პირობების შესახებ.

რაც შეეხება ამ მონაცემების ადგილებზე გადაცემას, ამას აკეთებენ ღვინის ქარხნები — აქციონერები, რომლებიც ახლო კავშირში არიან ფირმებთან, საზოგადოებრივ მეურნეობებთან, მოიჯარეებთან, კერძო მეურნეებთან და უშუალოდ გახლავან დაინტერესებული ვენახითა და მოსავლით.

— პრაქტიკულად ხდება კი, დღეს ასე, თუ ეს ჯერ მხოლოდ კეთილი სურვილია?

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს უფრო მომავლის, პერსპექტივას განეკუთვნება, ვიდრე დღევანდელ რეალობას.

— რაკი სიტყვა პერსპექტივაზე ჩამოვარდა, იქნებ თქვენ, როგორც გამოცდილმა სპეციალისტმა და ამ საქმეში ღრმად ჩახედულმა კაცმა, გვითხრათ, როგორ გესახებათ ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის მომავალი?

— ფრიად საყურადღებო, აქტუალურ და მტკივნეულ საკითხს შეეხეთ, რომელიც ალბათ სამთავრობო დონეზე უნდა გადაწყდეს, მაგრამ მაქვს საკუთარი მოსაზრებებიც. მიმაჩნია, რომ დღევანდელ ეტაპზე ყურძნის მომყვანისა და მისი გადამმუშავებლის ინტერესი უნდა გაერთიანდეს, ან დაუახლოვდეს მაინც ერთმანეთს.

საქმე ის გახლავთ, რომ მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ვენახება. უაღრესად გაღარიბდა ვაზის ჯიშობრივი სპექტრი, არ ხდება მისი შევსება და სრულყოფა. ვასახელებთ ქართული ვაზის 500-მდე ჯიშს, და ამავე დროს, ფაქტობრივად, თითებზე ჩამოსათვლელი სამრეწველო ჯიშებიღა დაგვრჩა. მათ შორის ზვრების 85 პროცენტი რქაწითელია. თანდათან ქრება, გადაშენების გზაზეა მწვანის, ხიხვის, ქისის, კაბერნეს, პინოს, ჩინურის, თავკვერის, ჩხავერის, ალექსანდროულის, ოჯალეშისა და სხვა უნიკალური ჯიშები. თუ დღესვე არ დაიწყო ძვირფასი ჯიშების აღდგენა, სხვაფრივ მაღალხარისხოვანი, კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოება და საერთაშორისო ბაზრის დაპყრობა შეუძლებელია. ამიტომ მიმაჩნია მევენახეობა-მეღვინეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის სწორ გზად ყურძნისა და ღვინის პროდუქციის მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების დაახლოება, იურიდიულ პირთა უფლებების მაქსიმალური გაფართოება და საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლის პოლიტიკის გატარება.

ვფიქრობ, ამისათვის საჭიროა პირველ ეტაპზე იურიდიული პირის სტატუსის მქონე მოქნილი, დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულების ჩამოყალიბება, შემდეგ კი მის საფუძველზე ღვინის ქარხნებისა და უშუალოდ ყურძნის მწარმოებელი მეურნეობების, მოიჯარე და კერძო მევენახეების სამეურნეო ურთიერთობის პროგრესული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევა.

ასეთ ერთ-ერთ მისაღებ ფორმად უნდა ჩაითვალოს ყურძნის მწარმოებელთა და გადამმუშავებელთა ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით შექმნილი (იურიდიული პირის უფლებისა და თავისი საფირმო დასახელების მქონე) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მასში გაერთიანებულ, როგორც ღვინის მრეწველობის მუშაკებს, ისე ყურძნის მწარმოებლებს ექნებათ ერთიანი მიზანი — რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით მეტი მაღალხარისხოვანი საბოლოო პროდუქციის წარმოება და ამ გზით მაქსიმალური მოგების მიღება, რომელიც საზოგადოების წევრებზე განაწილდება საწესდებო ფონდში მათი ხვედრითი წილის პროპორციულად.

აღნიშნული მოდელი შეიმუშავეს ყოფილი სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „სამტრესტმა", რომლის განხორციელება ნაწილობრივ დაიწყო კიდეც, მაგრამ შემდეგ იგი ადგილობრივმა მმართველობებმა, ადვილად გასაგები მიზეზების გამო, შეაჩერეს. ჩემი აზრით, ეს მოდელი მისაღებია და მისი დანერგვა უნდა დამთავრდეს.

ჰო, ხი კიდევ რა მაქვს დასამატებელი. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ღვინის კოდექსის შემუშავების საკითხი. ასეთი კოდექსი უკვე არსებობს საერთო ბაზრის ქვეყნებისათვის. ვფიქრობ, ჩვენთანაც აუცილებლად უნდა შეიქმნას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა ჩემი აზრი ამ დარგისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ნებადართა საკუთრებისა და ნებისმიერი ფორმის საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს აწარმოონ ალკოჰოლური სასმელები ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე.

ყოველი ეკონომიკური კანონი, ცხადია, უნდა ითვალისწინებდეს როგორც მწარმოის, ასევე მომხმარებლის ინტერესებს, კანონმდებელი უპირატესობას მაინც მომხმარებელს უნდა ანიჭებდეს (დასავლური ეკონომიკის საფუძველია პრინციპი: „მომხმარებელი მეფეა!"). აღნიშნული გადაწყვეტილება კი საერთოდ უგულებელყოფს მომხმარებლის ინტერესებს, ვინაიდან არ ითვალისწინებს არავითარ დამცავ მექანიზმს, როგორც გამოყენებული ნედლეულის, ასევე პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს ზარალდება საზოგადოებაც, რადგანაც არ არსებობს საიმედო მექანიზმი არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების მიერ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების დაბეგვრისაგან.

— ხომ არ გვეტყვით, სხვაგან როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი?

— რუსეთის ფედერაციის მთავრობის 4 მაისის № 282 დადგენილებით წესრიგდება ალკოჰოლური სასმელების და ლუდის წარმოებისა და რეალიზაციის საქმე.

ლიქიორ-არაყის, კონიაკის, მაგარი სასმელებისა და სპირტების წარმოების უფლება მინიჭებული აქვს ყველა სახის სახელმწიფო საწარმოს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, მაგრამ სათანადო ლიცენზიის მიღებისას, ხოლო ყურძნისა და ხილის ღვინოების და ლუდის წარმოების უფლება კი ყველა წარმოებას (მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად), რომელსაც აქვს შესაბამისი პირობები ასეთი პროდუქციის წარმოებისათვის და რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებსა და წესებს, მხოლოდ სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) მიღების შემთხვევაში. ამასთანავე სხვა პირობებთან ერთად რეგლამენტებული უნდა იყოს წარმოებული პროდუქციის ხარისხის, რაოდენობის, შენახვის, გაცემისა და მიწოდების პირობების წესები.

გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშაოს და მიიღოს ალკოჰოლური სასმელებისა და ლუდის წარმოებისა და ვაჭრობის რეგლამენტირებული ღონისძიებები.

ესაუბრა
სერგო ხარაზიშვილი.

ბიზნესი, მარკეტინგი, ბაზარი

წალკაში აირჩიეს გამგებელი

უკანასკნელ ხანს რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აღინიშნებოდა წალკის რაიონში. რამდენიმე თვის მანძილზე აქ გრძელდებოდა დაპირისპირება რაიონის მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის და რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო არაერთხელ განეხილა დაძაბულობის შენელების მიზნით (?) მინისტრთა კაბინეტმა ჯერ კიდევ ამა წლის მარტში მიიღო გადაწყვეტილება წალკის რაიონში გამგებლის არჩევნების შესახებ. მაგრამ არჩევნები მაშინ არ გამართულა: დაპირისპირებულმა მხარეებმა ამას ხელი შეუშალეს, თანამდებობის პირებმა კი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ არჩევნების ორგანიზაცია, ვერ გამოიჩინეს სათანადო პრინციპულობა. და აი, ამ დღეებში არჩევნები, ბოლოს და ბოლოს, გაიმართა.

334 ამომრჩევლიდან — გამგებლობის დეპუტატებიდან, საწარმოთა და მეურნეობათა, დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, საზოგადოების ყველა ფენისა და რაიონის დასახლებული პუნქტების წარმომადგენლებიდან — არჩევნებში მონაწილეობდა 246 ამომრჩეველი. დაასახელეს ოთხი კაცის კანდიდატურა, მაგრამ ფარული კენჭისყრის ბიულეტენში შეიტანეს ერთი გვარი — **დიმიტრი იანაკოვი,** რომელიც აირჩიეს კიდეც წალკის რაიონის გამგებლად.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაცნობებთ

განცხადება

ტაილანდის სამეფოსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ამოძრავებთ რა ორმხრივი სურვილი — ხელი შეუწყონ მეგობრული ურთიერთობის და ორმხრივი მჭიდრო კავშირების განვითარებას ტაილანდის სამეფოსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, ტაილანდის სამეფოს მთავრობამ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოების დონეზე.

უახლოეს დროში მოხდება დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გაცვლა ელჩების დონეზე.

21 ივლისი 1992 წელი.

ტაილანდის სამეფოს პრემიერ-მინისტრი ანანდ პანიარაჩუნი.

ანალოგიური განცხადება საქართველოს რესპუბლიკასა და ტაილანდის სამეფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ დღეს გამოქვეყნდა ტაილანდის სამეფოს პრესაში.

როკის გვირაბთან საბაჟო გაიხსნება

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანი მისიით სამმხრივი სამხედრო შენაერთების განლაგების, ამ რეგიონის მეურნეობის, ქალაქებისა და სოფლების გზების აღდგენისა და ლტოლვილთა დასაბრუნებლად საჭირო პრობლემების მოწესრიგების კომპლექსურ ღონისძიებებს იხილავდნენ, ლაპარაკი იყო საბაჟოს შექმნის აუცილებლობაზეც.

დაინტერესებულ მოქალაქეებს, რომლებიც ამ საკითხზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მათ შორის, რედაქციაში გვირეკავენ, გვინდა ვაცნობოთ, რომ კომპლექსური ღონისძიებებით სამომავლოდ გათვალისწინებულია როკის უღელტეხილზე გვირაბის ორთავე მხარეს გაიხსნას საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო.

სარედაქციო ფოსტიდან

გადავარჩინოთ ქართული კულტურა

გეზი სიყვარულის ტაძრისაკენ!

როგორც მკითხველთათვის ცნობილია, ჩვენი გაზეთის 1 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილი — „გადავარჩინოთ ქართული კულტურა", მასში ხაზგასმულია ფაქტი, რომ ქართული კულტურა ეროვნული სულის გამოხატულებაა და რომ სიყვარულის ტაძრისაკენ უნდა ავიღოთ გეზი.

სარედაქციო ფოსტაში შემოვიდა სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა არაერთი წერილი. მათში ჩანს ამ მოსაზრებების მხარდამჭერის და ხორცშესხმის სურვილი.

გთავაზობთ რამდენიმე გამოხმაურებას.

რეალური იმედი

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის დასი უდიდესი კმაყოფილების და მადლიერების გრძნობით მიესალმება ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ქართული კულტურის შესახებ და მიიჩნევს, რომ საკითხისადმი მხოლოდ ამგვარი დამოკიდებულება გამოიყვანს ქართულ კულტურას კრიზისისგან. გვწამს, რომ მის შეხედულებებს არა მხოლოდ გაიზიარებენ ჩვენი კულტურის დარგის წარმომადგენლები და მათთან ერთად, საქართველოს ინტერესებისათვის მებრძოლი ყველა მამულიშვილი, არამედ შეეცდებიან საქმით დაამტკიცონ ქართული კულტურისადმი ერთგულება, რადგან ქართული კულტურა საქართველოსაგან განუყოფელია. შეუძლებელია იბრძოლო საქართველოს კეთილდღეობისათვის და არ იზრუნო მის კულტურაზე, ისევე, როგორც შეუძლებელია ემსახურო ქართულ კულტურას და არ იფიქრო საქართველოს მომავლისათვის.

ბატონ ედუარდ შევარდნაძის თანხმობა, რომ უხელმძღვანელოს „კულტურის გადარჩენის კომიტეტს", არის არა მხოლოდ ქართული კულტურის მიმართ უდიდესი პატივისცემის გამოხატულების დასტური, არამედ ამავე დროს შორს გადადგმული დიდი პოლიტიკური ნაბიჯი.

ჩვენ უკვე რეალურად გაგვიჩნდა იმედი ქართული კულტურის გადარჩენისა. და თუ გადარჩება ჩვენი კულტურა, გადარჩება ერის ზნეობაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადარჩება მთლად საქართველოც!

ჩვენ მოვუწოდებთ კულტურის ყველა დარგის წარმომადგენლებს გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ, გავერთიანდეთ „კულტურის გადარჩენის კომიტეტის" გარშემო და ერთიანი ძალისხმევით ვიბრძოლოთ მისი აღმავლობისათვის.

ალექსანდრე ქანთარია,
ს. ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

გადაუდებელი საქმე

დღეს ქართული კულტურის წინაშე მართლაც რომ ახალი პრობლემები წამოიჭრა საბაზრო ურთიერთობასთან დაკავშირებით. ახეთ ვითარებაში ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის შექმნა უდავოდ დროული, მეტიც, საჭირო საქმეა.

მიმაჩნია, რომ ეს საინიციატივო ჯგუფი უნდა გაფართოვდეს, მასში არა მარტო ხელოვნების მოღვაწენი, არამედ მეცნიერები, რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, ახალგაზრდობაც უნდა ჩავაბათ, ისინი, ვისიც გვჯერა და გვწამს.

ალბათ, კომიტეტი მალე გახსნის ანგარიშს; დარწმუნებული ვარ, მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად ხალხი მაინც გადარიცხავს თავისი დანაზოგის ნაწილს. ამ საქმეში უდავოდ წვლილს შეიტანენ ჩვენი ბიზნესმენები და კოოპერატორები. პირადად მე, ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის ანგარიშზე (მისი გამოქვეყნებისთანავე) უყოყმანოდ გადავრიცხავ 1000 მანეთს, რაც მცირე, მაგრამ გულითადი წვლილი იქნება ქართული ეროვნული კულტურის დაცვა-გადარჩენის კეთილშობილურ საქმეში.

არჩილ კოხრეიძე,
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ისევ ჩვენი გულითა და გონებით

ჩვენ მონები როდი ვართ. ჩვენ ჩვენი სიმართლის თქმა და დამკვიდრება უნდა შეგვეძლოს, მაშინ ვიქნებით ღირსეული მამულიშვილები. ანგარებით და მომხვეჭელობით შორს ვერ წავალთ. ჩვენ ისევ პატიოსანი შრომა და ზნეობა აგვამაღლებს. სიბრძნე გონიერებასა და უბრალოებაშია, მხოლოდ რეალური და არა მოჩვენებითი, სიცრუეს კი დიდი დღე არა აქვს. იმედია, რომ ჩვენი შემოქმედებითი კავშირები დიდ წვლილს შეიტანენ ერის სულიერი ცხოვრების გამდიდრების საქმეში. დღეს ყველაზე მეტად გრძნობების აღზრდა და გონიერების წვრთნა გვესაჭიროება. ეროვნული თეატრი, კინო, სახვითი ხელოვნება მუდამ ხიბლავდა ჩვენს გონებას და ამდიდრებდა ჩვენი ცოდნის ხალაროს.

ჩვენ ვცხოვრობთ რთულ, წინააღმდეგობრივ ხანაში. დემოკრატიამ, საჯაროობამ, პლურალიზმმა მრავალ ღირებულებათა გადაფასება გამოიწვია. თანამედროვე ადამიანი უფრო მეტი ცოდნითაა შეიარაღებული, ვიდრე, 30-40-იან წლებში იყო.

ჩვენს დროში სულიერი ძალები დაინგრა, რაც გამოწვეულია ზნეობრივი ძალების დაქვეითებით. ჩვენი მწერლობა მუდამ იყო ინტელიგენციის წამყვანი რაზმი, სულიერი მრჩეველი და მეგობარი. და იგი კვლავ კეთილ მეგზურად გვესახება.

ჩვენი ახალგაზრდა თაობა ჩვენით საზრდოობს. ისინი ჩვენი კულტურულ-სულიერი ღირებულების მემკვიდრენი არიან. რად გვინდა იარაღი ხელში, მუქარა და ბრძოლა? ჩვენ უნდა ვაშენოთ ჰუმანური, ზნეობრივად მაღალი საზოგადოება. შური, სიხარბე, ორპირობა ჩვენს წინსვლას ვერ მოერევა. ისევ და ისევ ჩვენი ზნეობით უნდა მოვიპოვოთ ავტორიტეტი, ჩვენი მეობით გადავჭრათ სადღეისო და სახვალიო პრობლემები.

მისასალმებელია, რომ არჩეულია შემოქმედებითი კავშირების საბჭო. ეს ერის ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სიძნელეების ჰუმანური დაძლევით შევძლებთ მოწინავე ქვეყნებს შორის ჩვენი ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.

მიხეილ ჯამთარაძე,
მასწავლებელი. გურჯაანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერს თურქული პრესა

ავმაღლდებით თუ ვერა ედუარდ შევარდნაძის დონემდე

ნოდარ კომახიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამ წერილის სათაურად გამოტანილი ეს წინადადება არის თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გაზეთის „საბაჰის" პოლიტიკურ მიმომხილველის ჯენგიზ ჩანდარის შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციის ხელმოწერის მნიშვნელობასა და შედეგების შესახებ გამოქვეყნებული წერილის დასკვნა.

გაზეთი აანალიზებს მიღწეული საერთაშორისო შეთანხმების მომზადების მიმდინარეობას, თურქეთის წვლილს ამ დოკუმენტის პროექტის იდეის წამოყენებაში, სტამბოლში შეკრებილ შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ გაწეულ მუშაობას მოლაპარაკების წარმატებით დაგვირგვინებისა და ახალი შინაარსით გამდიდრებისთვის, თურქეთისა და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დადებითი გამოხმაურების ფართო დიაპაზონს.

ანალოგიურად ერთსულოვანია მთელი თურქული პრესის აზრი ამ საკითხზე. აღნიშნება, რომ [illegible]

[illegible] თურქულ პრესასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს კონფერენციაზე საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის ჩინებულ გამოსვლას მის მიერ შეთავაზებული წინადადების დიდ პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, რაც გაზეთებმა თავისი წერილების სათაურებში გამოიტანეს.

კონფერენციაში ბატონ ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობას ისეთი იმედიანი განწყობილებით ელოდნენ თურქეთში, რომ, როცა თბილისში 24 ივნისს მომხდარი ავადმოსაგონარი გამოხდომის გამო მან 25 ივნისს სტამბოლში ჩასვლა დააგვიანა, ყველა შეშფოთდა. „მილიეთი" 26 ივნისს წერდა: „რუსეთის ლიდერის ბ. ელცინის ჩამოსვლამდე სტამბოლში სპეციალური თვითმფრინავით ჩამოიტანეს მისი ორი ჯავშნიანი ავტომობილი. ერთ-ერთ მათგანში დამონტაჟებულია ტელეფონის აპარატურა, რომელსაც დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით შეუძლია პლანეტის ნებისმიერ კუთხესთან დაგაკავშიროთ. სწორედ ამ აპარატურის მეშვეობით გახდა თურქეთში ცნობილი, თუ როდის ჩამოვიდოდა სტამბოლში ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ვერ დაამყარეს საჭირო საინფორმაციო კავშირი საქართველოსთან, ელცინის მანქანა შეამჩნიეს, რომელიც პატრონს სტამბოლის იეშილკიოის აეროპორტში ელოდებოდა. დახმარებისთვის მათ რუსებს მიმართეს და პრობლემაც გადაწყდა. სადაც საჭირო იყო, დარეკეს და პასუხად მიიღეს: „ე. შევარდნაძე უკვე ჰაერშია, მოფრინავს და ერთ საათში მანდ იქნებაო". ყველამ შვებით ამოისუნთქა", — იტყობინება თურქული გაზეთი.

კონფერენციის საბოლოო დოკუმენტები უკვე ცნობილია. ისინი შავი ზღვის რეგიონში მშვიდობიანი, კეთილმეზობლური მრავალმხრივი, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გარანტიას იძლევა.

11 ქვეყნის (საქართველო, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა, ალბანეთი, საბერძნეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) ხელმძღვანელებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, კმაყოფილებმა დასტოვეს სტუმართმოყვარე სტამბოლ- [illegible] მოვალეობა, ამას გადაწყვეტს რეგიონის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, რომელიც სამი თვის შემდეგ გაიმართება.

შეთანხმება ორი ნაწილისაგან შედგება: 1. სახელმწიფოთა მთავრობებისა და ოფიციალური სტრუქტურების ურთიერთობა. 2. კერძო მეწარმეთა თანამშრომლობა.

პირველი ითვალისწინებს უწყვეტ კონტაქტებს მიმოსვლის, ურთიერთინფორმირების, სტატისტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მონაცემების გაცვლის, მეტალურგიული, ენერგეტიკული, წიაღისეულის დამმუშავებელი მრეწველობის, საბაჟო სტრუქტურების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მისი პროდუქციის გადამუშავების, ჯანდაცვისა და ვეტერინარიის, ფარმაცევტიკისა და გარემოს დაცვის გადასახადების რეგულირების დარგებში. კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს განვითარებას, კაპიტალდაბანდებებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, აუქციონების მოწყობას, თავისუფალი ზონების შექმნის წახალისება-დაჩქარებას, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის ხელისშემშლელი ყველა დაბრკოლების დაძლევას.

ამ ამოცანების გადასაჭრელად გათვალისწინებულია სახელმწიფოთაშორისი მრავალმხრივი სამმართველო მექანიზმის ჩამოყალიბება. თანამშრომლობის სხვადასხვა დარგებში საქმიანობის კოორდინირებისთვის სამუშაო ჯგუფები იქმნება. უცხოელი მეთვალყურეების შეფასებით, ევროპის აღმოსავლეთში — შავიზღვისპირეთში შეიქმნა ევროპის „საერთო ბაზრის" ალტერნატიული რეგიონალური „საერთო ბაზარი", რომელიც ევროპული ინტეგრაციის პროცესში ჩაერთვება.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის დელეგაციის წინადადებით „ოზალის პროექტი" ახლებურ ელერადობას იძენს, მას თვისებრივად ახალი პოლიტიკური ასპექტები და სხვა მახასიათებლები შეემატება. იქმნება სოციალური უშიშროებისა და თავდაცვის საკითხების საგანგებო სამუშაო ჯგუფები. „მომავალში, — წერს გერმანული „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი", — ეს კავშირი ევროპის გაერთიანებისთვის" დამახასიათებელი ეკონომიკური [illegible] ულს. „გამარჯვებით გამოწვეული კარგი განწყობილება" — ასე აფასებს „ჰურიეთი" ანკარაში შექმნილ ატმოსფეროს. „სტამბოლში მიღწეულმა შეთანხმებამ, — დასძენს გაზეთი, — პრემიერი ს. დემირელი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ჩეთინი მეტისმეტად გაახარა, მთავრობა კმაყოფილია ევროპის ქვეყნებიდან ანკარის მისამართით გამოგზავნილი ქება-დიდებით აღსავსე მილოცვებით".

დასავლეთის პრესა აღნიშნავს, რომ სტამბოლში შესაძლებელი გახდა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი და იარაღით დაპირისპირებული ქვეყნების (რუსეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი) ლიდერების სამშვიდობო პლატფორმის საფუძველზე შეკრება, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ დააყენა საკითხი, რომ ამ წარმატებისათვის თურქეთი დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ევროპის „საერთო ბაზრისა" და „დასავლეთ ევროპის გაერთიანების" სრულუფლებიან წევრად. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში მწვავე ლოკალური კონფლიქტებია, დაახლოებით 400-მილიონიანი მოსახლეობის მქონე 11 სახელმწიფოს აღნიშნულ გაერთიანებაში შესვლა თურქეთის დამსახურებად არის მიჩნეული. ასეთია შეფასება.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ სტამბოლის კონფერენცია მიმდინარეობდა თურქეთის უმწვავესი საშინაო-პოლიტიკური ვითარების პირობებში. ერთმანეთს დაპირისპირებული არიან ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, მერყევია სამთავრობო კოალიცია, რომელსაც არ უქადიან საიმედო პერსპექტივას, ოპოზიცია თავგამოდებით ებრძვის მეჯლისში ქვეყნის მმართველ ძალებს და თურქეთის ზოგიერთ რაიონში საზოგადოებრივი აზრი მისკენ იხრება; და ბოლოს, სერიოზული განხეთქილებაა თვით ოპოზიციურ „სამშობლოს პარტიაში", რომლის დამაარსებელია თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი.

ოზალ-დემირელის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ პრემიერმა კატეგორიულად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ თ. ოზალს (რომელიც „შავიზღვისპირეთის ქვეყნების თანამშრომლობის პროექტის" ავტორია) ხელი მოეწერა სტამბოლის დეკლარაციაზე. მოტივად პრემიერმა ის [illegible]

„ოზალ-დემირელის სკანდალურ კონფლიქტს" თურქეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მართალი მხარის დასადგენად რამდენიმეჯერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოეწყო, რომლის შედეგები მუდამ განსხვავებული, იყო, რაც არაერთხელ აისახა თურქულ პერიოდიკაში.

კონფერენციის დამთავრების მეორე დღეს პრემიერი თავის მშობლიურ ქალაქ ისპარტაში ჩავიდა, სადაც დაესწრო თავის ნათესავების მიერ აშენებული ცემენტის ქარხნის გახსნის ცერემონიალს. ს. დემირელმა მოითხოვა, რომ ქარხნის პირველი პროდუქცია (50.000 ტონა ცემენტი) ხალხს უსასყიდლოდ დაურიგდეს. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსვლისას, სადაც მას ვერტმფრენებიდან 10 ტონა ვარდის ფურცელი დააყარეს, პრემიერმა, როგორც ამას თურქული პრესა მიიჩნევს, თ. ოზალის მისამართით განაცხადა „ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველას შეგნებული ჰქონდეს თავისი უფლება-მოვალეობანი. ვისაც ეს არ ესმის, ვასწავლით".

ძნელი დღეები აქვს მთავრობის კოალიციას. მიაჩნიათ, რომ მას მეტი ქმედითობა მართებს. როდესაც თურქეთის პარლამენტში ივნისის მესამე დეკადაში გაიმართა კენჭისყრა თურქეთის აღმოსავლეთ ვილაიეთებმა საგანგებო წესების მორიგი გაგრძელების თაობაზე, კოალიცია პირველად აღმოჩნდა უმცირესობაში — 450 ხმიდან 205 მოაგროვა საჭირო 226 ნაცვლად, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ს. დემირელის „ჭეშმარიტი გზის პარტიის" კოალიციაში პარტნიორი ერდალ ინენიუს „სოციალისტურ-სახალხო პარტიის" დეპუტატთა ერთი ნაწილის განდგომამ (ამ პარტიის 70-კაციანი საპარლამენტო ჯგუფიდან 20-მა პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა, ხოლო 12-მა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო. ეს ფაქტი კვალიფიცირებულია, როგორც მთავრობის ლიდერების „პირველი სერიოზული გაფრთხილება" (ილქ ჯიდდი უიარი).

ოპოზიციამ ხელისუფლებას პარლამენტში განსახილველად ყალბი დოკუმენტების (საპროექციარლიკ) შემოტანა დააბრალა. კერძოდ, ასაბუთებენ, რომ ერთ-ერთ მთავრობისეულ პროექტზე კულტურის მინისტრის ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. ოპოზიცია ასევე ოფიციალურად აბრალებს მთავრობის 4 მინისტრს სხვადასხვა დარღვევას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, და მოითხოვს მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას უზენაეს სასამართლოში. (იუჯე დივან). მეჯლისში დიდი მღელვარება სუფევს. პრესის შეფასებით იქ მოსალოდნელია „ახალი უოტერგეიტი".

ს. დემირელი რევანშს აპირებს ოპოზიციური „სამშობლოს პარტიის" (115 მანდატი მეჯლისში 450-დან) იმ პროექტისთვის კენჭისყრის დროს, რომელიც თურქეთის არმიის გენერალური შტაბის (სამხედროები) რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთვის (მოქალაქეები) დაქვემდებარებას ითვალისწინებს.

თურქეთის პრეზიდენტი, რომლის რწმუნებათა ვადა 1996 წლამდე გრძელდება, ვერ თმობს თავის კავშირს მის მიერ შექმნილ „სამშობლოს პარტიასთან", საიდანაც, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს, იგი გავიდა პრეზიდენტად არჩევისთანავე. პარტიის ახლანდელი ლიდერი მესუთ ილმაზი, რომელიც 1991 წ. 20 ოქტომბრამდე თურქეთის პრემიერი იყო, დიდ გულისწყრომას გამოთქვამს პარტიის საქმეებში თ. ოზალის ჩარევის გამო, იგი წინააღუდგა პრეზიდენტის ცდებს გავლენა მოახდინოს პარტიაზე. „პარტიის ლიდერი დღეს მე ვარ. ოზალი პრეზიდენტია და თავისი საქმე აქვს. მე მას არ შევუთანხმებ ჩვენს პარტიულ საქმიანობას", — აცხადებს პარტიის გენერალური თავმჯდომარე. პარლამენტის კულუარებში ამბობენ, რომ თ. ოზალი აპირებს ვადაზე ადრე დათმოს პრეზიდენტის სავარძელი (რაც ძალზე აძლევს ხელს „ჭეშმარიტი გზის პარტიას") და ძველი პოზიციები აღიდგინოს თავის პარტიაში მისი საგანგებო ყრილობის ჩატარების გზით. ასეა თუ ისე, წინა კვირას პრეზიდენტის მეუღლე ქალბატონი სემრა ოზალი გადადგა ამ პარტიის სტამბოლის ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ცენტრალური მმართველი საბჭოს წევრის პოსტებიდან, რამაც დიდი სირთულეები შეუქმნა პარტიის ხელმძღვანელობას.

ასეთია, მოკლედ, პოლიტიკური ვითარება დღევანდელ თურქეთში, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა ბევრი ქვეყნისთვის სასურველი, სამაგალითო და მისაბაძია.

სათქმელი უნდა ითქვას

როცა კურორტი თვითონ სამკურნალოა

ნიკო ხატიაშვილი,
საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

ხშირად გაიგონებთ საქართველო დაქსაქსულობამ დაღუპაო, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ იგივე მიზეზმა — კურორტების მართვის ორგანოების დაქსაქსულობამ დიდი ზიანი მიაყენა კურორტების განვითარებას.

ამის შესახებ მანამდეც არაერთხელ მითქვამს. ახლა კი როდესაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჩანაფიქრებული აქვს კურორტების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, აუცილებლად მივიჩნიე დღევანდელი მომენტის გათვალისწინებით გამოვთქვა ჩემი აზრი.

კურორტების მართვაში არსებულმა მრავალუწყებრიობამ შექმნა ე. წ. „უწყებრივი კანონები", რომლებიც ერთგვაროვანი არ არის და რომელთა აღსრულება მხოლოდ ამ უწყებაში შემავალ სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებების ფარგლებშია შესაძლებელი. ასე განსაჯეთ, ეს „კანონები" ემპირიულად, ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე იქმნება და ჩვენდა გასაკვირად ისეთ საკითხებსაც კი ეხება, როგორიცაა ავადმყოფთა მკურნალობა. მაგალითად, კურორტ საირმის ნამცეცა ტერიტორიაზე, სადაც მრავალი უწყების სანატორიულ-საკურორტო ობიექტია თავმოყრილი, ერთი და იგივე დაავადების მკურნალობის ხანგრძლივობა სხვადასხვაა: ზოგან 15 დღეა, ზოგან 18 და ა. შ. ეს მაშინ, როცა ჩვენმა ინსტიტუტმა დაადგინა, რომ ამ კურორტზე ავადმყოფთა მკურნალობის ხანგრძლივობა 24 დღეა.

ასეთმა კანონებმა მედიცინის ისტორიაში ჯერ არნახულ და არგაგონილ „აღმოჩენამდე" მიგვიყვანა. თურმე ავადმყოფებს არა დაავადებების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ვუმკურნალოთ, არამედ იმის მიხედვით, თუ რომელ უწყებაში მუშაობენ ისინი. ამავე პრინციპით უნდა განვსაზღვროთ მათთვის ამა თუ იმ წამლის მიცემის ხანგრძლივობა.

ასეთი დაქუცმაცების შედეგად წარმოშობილ სხვა უხერხულობას ისიც ემატება, რომ საგზურების განაწილებაში არავითარი კოორდინირება არ არის. ამის შედეგი გახლავთ სწორედ ის, რომ მიუხედავად მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებისა, ზოგიერთი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულება კონტიგენტის ნაკლებობას განიცდის.

დასაგმობია ის ფაქტიც, რომ ცალკეულ საკურორტო უწყებათა შეხედულებით, მრავალი გამაჯანსაღებელი დაწესებულება მხოლოდ წელიწადის თბილ დროს მუშაობს, დანარჩენი კი დაკეტილია. გარდა იმისა, რომ ეს ეკონომიკურად წამგებიანია, ამით კურორტზე დასვენების საშუალება ესპობათ ისეთი დარგის მუშაკებს, რომლებსაც სამსახურის სპეციფიკის გამო (სოფლის მეურნეობის მუშაკები) სწორედ წელიწადის ამ დროს არ შეუძლიათ დაისვენონ ან იმკურნალონ. სეზონური ფუნქციონირების საკურორტო ობიექტები კიდევ იმითაცაა გაუმართლებელი, რომ ის ხელს უშლის ობიექტზე სწორი საკადრო პოლიტიკის გატარებას. ეს განსაკუთრებით სამედიცინო პერსონალს ეხება. ეს რომ ასეა, ამის შესახებ თვით სახელწოდება მიგვანიშნებს. კურორტი ორი გერმანული სიტყვისაგან შედგება: „კურ" — მკურნალობას ნიშნავს „ორტ" — ადგილს. მკურნალობა კი მოგეხსენებათ მკურნალის გარეშე წარმოუდგენელია (რაც არ უნდა საუცხოო „ადგილით" უმკურნალო).

სეზონურ საკურორტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები იძულებული ხდებიან საკურორტო სეზონის დამთავრების შემდეგ ან დაითხოვონ პერსონალი, ანდა მათი განთესვის თავიდან აცილების მიზნით, არაფერის კეთებისათვის წლის მეორე ნახევარშიც მისცენ ხელფასი. ეს კი ფინანსური დისციპლინის დარღვევის ტოლფასია. არა და, ნახევარი წლის ხელფასით მთელი წელი როგორ იარსებონ? ამიტომაც ისინი მეორე სეზონს აღარ უცდიან და სხვაგან იწყებენ სამსახურს. სწორედ ამიტომაა, სეზონურ სანატორიუმებში უმთავრესად შემთავსებლები რომ მუშაობენ, და არა აქვთ საშუალება საჭირო დრო მოახმარონ ავადმყოფთა მკურნალობას. ეს კი ავადმყოფებს საგრძნობლად აზარალებს. მეტიც, სეზონის გახსნისას სანატორიუმის პროფილის მიხედვით ექიმის პოვნა დიდი პრობლემაა. არასპეციალისტის მიღება კი უკეთეს შემთხვევაში ფორმალური და უშედეგოა, უარეს შემთხვევაში — სარისკო.

კურორტების მართვის ორგანოთა სიმრავლის ნეგატიური მხარეა ისიც, რომ ცალკეული უწყებები თავისი ღობის იქით არ იხედებიან და ამის გამო გადაუჭრელი რჩება საერთო საკურორტო პრობლემები. მაგალითად, კურორტზე მოსაწყობია საკანალიზაციო სისტემა, დასადგმელია გამწმენდი ნაგებობები და სხვა... უწყებები კი, რომელთა რაოდენობა იმდენია, რომ მათ ჩამოსათვლელად თითები არ გვეყოფა, ამ დროს ერთმანეთს შეჰყურებენ და უქმად არიან. საკურორტო რესურსები ბინძურდება, ზოგჯერ იმდენად ინტენსიურად, რომ იგი თავის ძირითად ფუნქციას, როგორც საკურორტო რესურსისას, კარგავს. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება შავ ზღვასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, შავი ზღვის აფხაზეთის რეგიონში შექმნილი მდგომარეობა. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ყოველწლიურად ზღვაში გაუწმენდავად და გაუუვნებლად ჩაედინება 9800 ათასი მ^3 გამდინარე წყლები. ავტონომიური რესპუბლიკის 8 რაიონული ცენტრიდან ცენტრალური კანალიზაცია მხოლოდ ნახევარსა აქვს. ზღვაში იმდენად დიდი რაოდენობის სიბინძურე ჩაედინება, რომ შეუძლებელია მისი თვითგაწმენდა. მავნე ქიმიური ნივთიერებანი და მიკროორგანიზმები ზღვის ფსკერზე ილექება. ზღვაზე თუნდაც მცირე ოდენობის ტალღების წარმოშობისას (ცურვა, შტორმი), ისინი კვლავ აბინძურებენ წყლის ზედაპირს.

არც შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებულ სხვა კურორტებზეა უკეთესი მდგომარეობა. გამოდის, რომ რესპუბლიკის „წილი შავი ზღვა" ქიმიურად და ბაქტერიოლოგიურად ძალზე დაბინძურებულია, სამწუხაროდ ეს პროცესი გრძელდება.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ თანამედროვე გაგებით, კურორტი ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც არის საკურორტო რესურსი ან რესურსები და საკურორტო ნაგებობანი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შავი ზღვა დიდ რეზერვუარში მოქცეული მინერალური წყალია ანუ საკურორტო რესურსია, და გავითვალისწინებთ ზემოთ ნათქვამს, გამოდის, რომ საქართველო კარგავს ზღვის კურორტებს.

არც მთის კურორტებზე გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფთა სამკურნალო ისეთი უნიკალური და მსოფლიოში სახელგანთქმული კურორტი, როგორიცაა აბასთუმანი, დღეს კარგავს თავის ძირითად ფუნქციას. იქ მთავარი სამკურნალო ფაქტორი იყო ფიჭვნარის წყალობით შექმნილი მიკროკლიმატი. დღეისათვის ხეების ეს სახეობა მასობრივად ნადგურდება.

მთის კურორტის მთავარი საკურორტო ფაქტორი მთის ჰავაა და სამწუხაროდ, უმრავლეს კურორტებზე ისიც დაგვიბინძურდა. ამის მაგალითი უამრავია, რომელთა ჩამოთვლით მკითხველს თავს არ შევაწყენ.

ცნობილია, რომ საქართველო არა მარტო კურორტებითაა მდიდარი, არამედ მას მრავალი საკურორტო ადგილი აქვს. მათ შორის 150-მდე პერსპექტიულია. ეს ხომ რესპუბლიკის კურორტების რეზერვი და მათი ხვალინდელი დღეა. ისინი არავის ეკუთვნის და მათზე არავინ არ ზრუნავს, ასეთი სიმდიდრე ნიავდება და ფუჭდება. აი მრავალთა შორის ერთი მაგალითი. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა) მიაქცია ყურადღება დმანისის რაიონში გამომავალ მინერალურ წყალს, რომელსაც მოსახლეობამ შარდმდენი თვისებების გამო „შარდის წყალი" უწოდა. ამ წყალს საშარდე სისტემიდან სილისა და წვრილი კენჭების გამოტანის არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ასეთი თვისებების წყალობით მოსახლეობაში ძალზე პოპულარული გახდა და მრავალი მომხმარებელიც ჰყავს. ეს მაშინ, როცა მისი დალევა არ შეიძლება, ვინაიდან იგი ბაქტერიოლოგიურად ძალზე გაბინძურებულია. ამ მდგომარეობის გამომსწორებელი, მისი მომვლელი და პატრონი ჯერჯერობით არავინ არის. და განა მარტო ეს საბადოა ასეთ მდგომარეობაში? თითქმის ყველა საკურორტო ადგილი მოუვლელია.

ეს კი იმიტომ ხდება, რომ ყველა უწყება ცდილობს გაშენებულ კურორტებზე ჰქონდეს ობიექტები და არა „ტრიალ მინდორზე", სადაც ბევრი რამ მოსაგვარებელ-მოსაწყობია.

ამრიგად, გამოდის, რომ კურორტი და საკურორტო ადგილები, რომლებიც დაავადებულთა სამკურნალოდ არის მოწოდებული, დღეისათვის თვით არის სამკურნალო.

კურორტოლოგიის განვითარება საქართველოში არა მარტო მოსახლეობის გაჯანსაღებას ემსახურება, მას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობაც ენიჭება.

ასე განსაჯეთ, საკურორტო რესურსების თვით გამაჯანსაღებელ თვისებასაც კი აქვს ეკონომიკური ეფექტი, რაც იმით გამოიხატება, რომ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით თავიდან ვიცილებთ დაავადებების განვითარებას და ამით ვინარჩუნებთ შრომით რესურსებს. იმ შემთხვევაში კი, თუ დაავადება განვითარდა, სათანადო მკურნალობითა და რეაბილიტაციით ვიბრუნებთ იმავე შრომით რესურსებს.

გარდა ამისა ცნობილია, რომ საქართველო ძალზე მდიდარია ისეთი საკურორტო რესურსებით, როგორიცაა მინერალური წყლები, რომელთა სადღეღამისო ჯამური დებეტი 130 მილიონ ლიტრამდეა. მათი გამოყენება (მათი თვისებების გათვალისწინებით) შეიძლება როგორც სასმელად (ჩამოსხმისათვის ვარგისი წყლები), ისევე აბაზანებისათვის. მათი გაყიდვა საშუალებას მოგვცემს რესპუბლიკაში შემოვიტანოთ როგორც კონვერტირებული ვალუტა, ისევე ბარტერული გაცვლით პირველი და აუცილებელი მოთხოვნილების საქონელი.

ჩვენ მხარს ვუჭერთ კურორტთა მართვისა და კოორდინაციის ერთიანი ორგანოს შექმნას, ოღონდ, ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატის შესანახი ხარჯები გაზრდის ნაცვლად უნდა შემცირდეს.

ასეთი ორგანოს შექმნის შემთხვევაში სასურველი იქნება, თუ ჩვენს მოსაზრებებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებენ და შეეცდებიან დროულად აღმოფხვრან ისინი.

თუ დროზე არ მივხედეთ ჩვენს კურორტებს, შთამომავლობა არ გვაპატიებს.

• • •

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ჩემი აღმზრდელი სკოლის — თბილისის პირველი საშუალო სკოლის აღდგენის ფონდში.



პრობლემა

თანადგომა უპირველეს ყოვლისა

რომელიც დღეს განსაკუთრებით სჭირდება ქართველ გლეხსა და ქართულ სოფელს

თამაზ ნანიტაშვილი,
საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის" გამგეობის თავმჯდომარე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

დღეს ყველანი კარგად ვხედავთ, თუ რაოდენ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ჩვენი ეკონომიკა საერთოდ და კერძოდ, სოფლის მეურნეობა. ერთადერთი გამოსავალია რადიკალური ეკონომიკური რეფორმების დაუხანებელი განხორციელება. გადაიდგა კიდეც პრაქტიკულად ნაბიჯები მიწის პრივატიზაციისათვის, მიღებულია კანონი „მიწის რეფორმის შესახებ", მოკლედ, მიწა უბრუნდება მის ჭეშმარიტ პატრონს — გლეხს, რაც უთუოდ აალორძინებს ჩვენს სოფლის მეურნეობას.

მაგრამ მხოლოდ ენთუზიაზმით ამის გაკეთება, ცხადია, შეუძლებელია: იმისათვის, რომ გლეხმა კერძო მეურნეობას მოჰკიდოს ხელი და საერთო საქმეც აწეიროს, დიდძალი თანხა უნდა დახარჯოს. ამგვარი სახსარი კი ყველას როდი გააჩნია. დღეს, როცა მიწის პრივატიზაცია დაიწყო, მატერიალური თანადგომა და ტექნიკური უზრუნველყოფა მიწის კანონიერ პატრონს მართლაც ჰაერივით სჭირდება, ამიტომაც უპრიანი იყო საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის" დაარსება, უფრო სწორად, მეორედ დაბადება, რამეთუ იგი კანონიერი და პირდაპირი მემკვიდრეა დიდი ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წელს დაარსებული საადგილმამულო ბანკისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა იმდროინდელი საქართველოს დაკნინებული სოფლის მეურნეობის აღორძინებაში..

ამაში ბანკს მაშინდელი მეფის მთავრობაც ეხმარებოდა, რომელმაც მას 160 ათასი ოქროს მანეთი აჩუქა და ყოველგვარი დაბეგვრისა და გადასახადისგანაც გაათავისუფლა. მთავრობას, ამჟამინდელი დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის გამო, ასეთი მასშტაბის ფულად დახმარებას ვერავინ მოსთხოვს, მაგრამ, რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველგვარი გადასახადისაგან საქართველოს საადგილმამულო ბანკის გათავისუფლებას, ეს, ჩვენი აზრით, შესაძლებელიცაა და აუცილებელიც, თუ მართლა გვსურს ახლო მომავალში ქველმოქმედების შედეგი ვიგრძნოთ სოფლად გვქონდეს გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტით სარგებლობისთვის საიმედო საკრედიტო დაწესებულება.

საადგილმამულო ბანკი, თვლის რა თავს წინამორბედის სამართალმემკვიდრედ, სწორედ მშრომელი ადამიანის შემწედ უნდა მოგვევლინოს უპირველეს ყოვლისა. მოგეხსენებათ დღეს, როდესაც ქართული სოფელი ეკონომიკურად დაკნინებულია, თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლის ფუნქცია, როდესაც არასწორმა სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკამ ათწლეულების მანძილზე გლეხს გული აიყარა, აარჩევინა მარჩენალ მიწაზე და სოფლიდან გაქცევა, სწორედ ასეთი ბანკის არსებობამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხს ფერმერული მეურნეობის შექმნაში.

საადგილმამულო ბანკი, რომელიც დიდი ილიას მიერ ლეგენდასავით შემორჩენილი ბანკის ნაკვალევს ადგას, ძირითად ამოცანად ისახავს რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და პრივატიზაციის პროცესებისთვის ხელშეწყობა-დაჩქარებას, ქველმოქმედება ბანკის მაგისტრალური ხაზია.

დღეს გვინდა დიდი მადლობა მოვახსენოთ ყველას, ვინც საქმიანი წინადადებებითა და რჩევა-დარიგებით ამოგვიდგა მხარში. გამოგვეხმაურნენ ჩვენი საზღვარგარეთელი თანამემამულეებიც გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან. ისინი გვპირდებიან რეალურ თანადგომას, სადამფუძნებლო კაპიტალის გაზრდაში თავიანთი წვლილის შეტანას.

დიდ მადლობას ვუძღვნით საქართველოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა იმ ხელმძღვანელებსაც, რომლებმაც ყოველი ღონე იხმარეს თავიანთთან საქართველოს საადგილმამულო ბანკის განყოფილებათა გახსნისთვის. უწინარეს ყოვლისა, მინდა გამოვყო ზესტაფონის, სამტრედიის, სიღნაღის, ქარელის, ფოთის, თერჯოლის, ჭიათურის, ხარაგაულის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ოპერატიულობა.

იმ რაიონების ხელმძღვანელებმა კი, რომლებიც დღესდღეობით ამ მხრივ სათანადო აქტიურობას არ იჩენენ, უნდა იცოდნენ, რომ ამით მხოლოდ საკუთარი რაიონების მოსახლეობის ძირეულ ინტერესებს დააზარალებენ: წალენჯიხელ, ახალციხელ, ყვარლელ თუ სხვაგან მცხოვრებ გლეხს მაშველი ხელი იქვე, თავის რაიონში უნდა ეგულებოდეს და დღენიადაგ თბილისისკენ არ ეჭიროს თვალი.

საქართველოს საადგილმამულო ბანკის „აღმაშენებლის" საწესდებო ფონდის გაზრდასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შევახსენებთ და ვთხოვთ რესპუბლიკის მოსახლეობას, საწარმო-დაწესებულებებს, ფირმებს, კოოპერატივებს, მცირე საწარმოებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ბანკის საწესდებო კაპიტალის გაზრდაში, რაც, თავისთავად ცხადია, თანადგომის ტოლფასი იქნება.

ყველა ზემოხსენებული საკითხის დადებითად გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სოფლის მოსახლეობის მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, სამეურნეო თუ სოციალურ-კულტურული პრობლემების უკეთ გადაჭრას.

ბანკის ძირითად მოვალეობად სოფლად მაინც ის რჩება, რომ დაეხმაროს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ერთგულ გლეხს, რომელსაც უპირველეს მიზნად მოსავლიანობის გადიდება გაუხდია და სოფლის კეთილდღეობისათვის ზრუნვა თავის ძირითად ამოცანად გადაუქცევია. ამისათვის კი საჭიროა, ბანკმა გასცეს კრედიტები, რომელთა მისაღებად მესაკუთრეს უნდა შეეძლოს თავისი კუთვნილი მიწის დაგირავება საქართველოს საადგილმამულო ბანკში, რომელიც უძრავ-მოძრავი ქონების ერთადერთი მოგირავე უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ახლო მომავალში შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოები მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს საადგილმამულო ბანკი იქნება მიწის დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტი. ეს ბანკს საშუალებას მისცემს დაიცვას ქართული მიწა, არ დაუშვას მისი გამოყენება ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ, ან უცხო ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა საკუთრებად მისი გადაქცევა.

ამ შემთხვევაში მიწასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია მხოლოდ საქართველოს საადგილმამულო ბანკის მეშვეობით ხორციელდება და, თავისთავად ცხადია, ის იქნება მიწის ერთადერთი მოგირავეც.

ბარემ აქვე შევეხები საზოგადოებისთვის ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს — საზღვარგარეთ დაკრძალული ჩვენი სახელოვანი მამულიშვილების სამშობლოში გადმოსვენებას, რაც ეტაპობრივად, აწონ-დაწონილად, ყველა სიტუაციის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ალბათ, უპრიანი იქნება დავიწყოთ ნოე ჟორდანიათი, ადამიანით პირველ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკას რომ ედგა სათავეში. დიახაც, ნოე ჟორდანია, და არა მარტო ის, ღირსია ქართველმა ჭირისუფალმა ქართულ მიწაზე დაიტიროს. ნეშტის გადმოსვენება კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაარსდეს უცხოეთში გარდაცვლილ ღირსეულ მამულიშვილთა სამშობლოში დაბრუნების ფონდი.

საქართველოს საადგილმამულო ბანკი „აღმაშენებელი" მზადაა გახსნას სპეციალური ანგარიში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული ფონდის ფორმირებაში.

იმედია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ მამულიშვილურ საქმეში.

საერთოდ კი ველით თქვენს გამოხმაურებას, საქმიან წინადადებებს, რჩევა დარიგებებს, რაც აუცილებლად გათვალისწინებული იქნება ჩვენს მომავალ საქმიანობაში.

მოგვმართეთ: ქ. თბილისი ხეთაგუროვის ქ. № 26 მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლე (ბარათაშვილის ხიდთან) ელსმენი: 95-06-01; 96-92-46. ბანკის ანგარიშია № 700161827, კოდი 522726, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მხარს უჭერენ პრეზიდენტის გადადგომას

ბრაზილია. ბრაზილიელთა მესამედზე მეტმა — 80 პროცენტმა — მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ფერნანდო კოლორის გადადგომას მისი მთავრობის ირგვლივ პოლიტიკურ სკანდალთან დაკავშირებით. ასეთი შედეგი მოჰყვა გაზეთ „ფოლია დი სან-პაულუს" მიერ მოწყობილ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას.

შეწყდეს ბლოკადა

მეხიკო. ლათინური ამერიკის მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა შეერთებულ შტატებს მოსთხოვეს შეწყვიტოს კუბის ეკონომიკური ბლოკადა და ნიკარაგუის „საშინაო საქმეებში ჩარევა". საბოლოო დეკლარაციაში, რომელიც მათ მიიღეს კვირას ნიკარაგუის დედაქალაქში დამთავრებულ თათბირზე, მხარს უჭერენ აგრეთვე სალვადორში შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და გვატემალის მთავრობასა და აჯანყებულებს შორის ზავის შესახებ მოლაპარაკების პროცესს.

მოსკოვის ბრძანებით

რომი. თურქმა ტერორისტმა ალჯამ, რომელიც 1981 წლის მაისში თავს დაესხა რომის პაპს იოანე პავლე მეორეს, იტალიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში კვლავ განაცხადა, რომ მოსკოვს წილი უდევს ამ დანაშაულში.

ალჯამ, რომელსაც მისჯილი აქვს სამუდამო პატიმრობა ქალაქ ანკონის საპატიმროში, ილაპარაკა „კრემლის გეგმებზე", რომლებიც 70-იან წლებს განეკუთვნება, რომლებითაც გათვალისწინებული იყო „საბჭოთა იმპერიის ყველა მტრის განადგურება". „რომის პაპი პირველი ასეთი მტერია", — ამტკიცებს ტერორისტი და დასძენს, რომ იოანე პავლე მეორის მოკვლის ბრძანება გასცა იური ანდროპოვმა.

რამდენი პოლიტიკური გაერთიანებაა რეგისტრირებული?

შარშან, უზენაესმა საბჭომ შეაჩერა კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებათა შესახებ", კერძოდ, შეჩერებული იყო კანონის მეშვიდე მუხლი, რომელიც ეხება პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციას.

1992 წლის 14 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დადგენილება ამ კანონის შეჩერების მოხსნის თაობაზე, რის შემდეგაც დაიწყო რეგისტრაცია.

დღეისათვის საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებულია მოქალაქეთა 46 პოლიტიკური გაერთიანება. სამს კი უარი ეთქვა. ესენია: „საქართველოს მთიელთა კავშირი", საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „უპარტიო პატრიოტთა მოძრაობა „ერთობა" და „ადამიანის უფლებათა დაცვის სრულიად საქართველოს აჭარის კავშირი".

— ძირითადი მიზეზი, თუ რისთვის ეთქვათ მათ უარი, არის ის, რომ მათი წესდებები, მიზნები და ამოცანები არ შეესაბამება მოქმედი კანონის მოთხოვნებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების რეგისტრაციის განყოფილების უფროსმა მანანა ბოკუჩავამ. — რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „უპარტიო პატრიოტთა მოძრაობა „ერთობა", იგი სახელწოდებითაც კი მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რადგან „წესდების მიხედვით — თუ იქმნება პოლიტიკური გაერთიანება, მისი ყველა წევრი ითვლება პარტიის წევრად. მაშ როგორღა შეიძლება, რომ უპარტიო პატრიოტი იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური გაერთიანების წევრი?

„ადამიანის უფლებათა დაცვის სრულიად საქართველოს აჭარის კავშირს" კი წესდებაში უწერია, რომ პოლიტიკური გაერთიანება იქმნება საწარმოო ნიშნის მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კანონის მეოთხე მუხლს.

„საქართველოს მთიელთა კავშირს" უარი ეთქვა იმის გამო, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის 11 თებერვალს ასეთივე დასახელების პოლიტიკური გაერთიანება რეგისტრირებული იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

ეს ჩვენი საქართველოა!

როგორ ისვენებთ, ბავშვებო!

...კულტმატრონობა, — ახე მდა-ხნათ გორში შექმნილ მოგზაურთა და მთამსვლელთა ასოციაცია „ტონთიოს" წევრებს.

ასოციაციას თავკაცობს ამ საქმის დაუღალავი ენთუზიასტი, მოგზაური და სპორტსმენი ნოდარ ტეტუნაშვილი. ახლა ზაფხულია. „ტონთიოს" ხაზრუნავი ქალაქში დარჩენილი, აგრეთვე სამაჩაბლოელ ლტოლვილთა ბავშვების დასვენებაზე ზრუნვაა.

...ნორჩი მოლაშქრეები ამ დღეებში ლაშქრობით ეწვევიან დანახვისის მთას, რომელიც ზღვის დონიდან 1600 მეტრზეა.

„ტონთიოს", ცხადია, გაუძნელდებოდა თავისი ულრესად საჭირო და სასარგებლო საქმიანობა, რომ არა თანადგომა და ... ტურისტული კარვები, საძილე ტომრები, სხვა საჭირო ტურისტული ატრიბუტები.

ზურაბ ვაშაკიძე.

სურათზე: „ტონთიოს" წევრები ეცნობიან მშობლიურ მხარეს.

საქართველოს მწვანეთა კონგრესი

18 ივლისს კინოს სახლში გაიხსნა საქართველოს მწვანეთა საპროგრამო IV კონგრესი.

მწვანეთა ისტორიაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწვანეთა ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი გივი თუმანიშვილი.

შემდეგ განიხილეს მწვანეთა საპროგრამო მასალები: საქართველოში შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობა, მწვანეთა იდეოლოგიური საფუძვლის — მდგრადი განვითარების პროექტი, პოლიტიკის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფოს მოწყობის სტრუქტურების საკითხები.

მეორე დღეს — 19 ივლისს მოხსენებებით გამოვიდნენ მწვანეთა სამეგრელოსა და აფხაზეთის ორგანიზაციათა თავმჯდომარეები.

კონგრესმა განიხილა საარჩევნო პლატფორმა. მომავალ არჩევნებში საქართველოს მწვანეები სრულიად დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას.

დაამტკიცეს მომავალი პარლამენტის არჩევნების 34 დეპუტატობის კანდიდატი.

აღინიშნა, რომ მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის, საქართველოში შექმნილი მძიმე პრობლემების საბოლოო მოგვარებისთვის აუცილებელია 11 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების ჩატარება.

მიიღეს რეზოლუცია, რომლის სრული ტექსტი და საპროგრამო მასალები პრესაში გამოქვეყნდება.

გუშინ, 20 ივლისს, საქართველოს მწვანეთა ცენტრალურ ოფისში, — მუშთაიდის ბაღში გაიმართა პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ნინო საძაშვილი

ქველმოქმედება

8 ივლისს ჭიათურა-საჩხერის მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო ამ ქალაქებს შორის მოძრავ ტროლეიბუსებზე გაკრულმა ტრანსპარანტებმა, რომლებიც მოსახლეობას ამცნობდა, რომ ამ დღეს ტროლეიბუსებით მგზავრობა უფასო იყო. ასეთი მშვენიერი საჩუქარი მოსახლეობას საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის ჭიათურის რეგიონულმა ორგანიზაციამ უძღვნა.

ჩვენ შევხვდით საქართველოს მონარქისტულ-კონსერვატიული პარტიის ჭიათურის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ვაშაძეს და აი რა განაცხადა მან.

— ასეთი საქველმოქმედო აქციები თვეში ერთხელ მომავალშიც მოეწყობა.

ვაპირებთ სამგზავრო საბაგირო გზებზედაც დავაწესოთ უფასო მგზავრობა თვეში ერთხელ. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს უფასოდ მივცეთ პური პენსიონერებს და საერთოდ გვინდა სოციალურად ყველაზე დაუცველი ადამიანების ამ კატეგორიას დავეხმაროთ პენსიების დროულად მიღების საქმეში, ვაპირებთ აგრეთვე ჭიათურის რეგიონში ყველა ახალდაბადებულ ბავშვს ბანკში საკუთარი ანგარიში გავუხსნათ და მათ ანგარიშზე სიმბოლურად გადავრიცხოთ გარკვეული თანხა 40-50 მანეთის ოდენობით.

ჯემალ გურული.

Tbilisi Institute of International Economic Relations

საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრის პროგრამით სწავლება

ნებისმიერ საგარეო ეკონომიკურ ორგანიზაციაში მუშაობა

თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი

აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის სპეციალობაზე „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები" შემდეგი სპეციალიზაციით:

1. ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ეკონომიკა;
2. ინგლისის ეკონომიკა;
3. საფრანგეთის ეკონომიკა;
4. გერმანიის ეკონომიკა;
5. იტალიის ეკონომიკა;
6. ისრაელის ეკონომიკა;
7. თურქეთის ეკონომიკა;
8. ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა.

მისაღები კონტინგენტის რაოდენობა განსაზღვრულია 50 სტუდენტით, რომლებიც სპეციალიზებულ ჯგუფებში განაწილდებიან მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ კონკურსის საფუძველზე.

თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლო ცენტრის „ედვანსდ ედიუქეიშნ სისტემზ ინტერნეიშენალისა" (AESI) და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროსთან არსებული მმართველობითი კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის მონაწილეობით დაარსებული ბიზნესის უმაღლესი სკოლის ბაზაზე.

„საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრის" (MIB) პროგრამით გათვალისწინებული საგნების საფუძვლიანი შესწავლა ინსტიტუტის კურსდამთავრებულთ საშუალებას მისცემს **იმუშაონ საგარეო ეკონომიკური პროფილის ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.**

ძირითადი უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, ივრითი, თურქული) ათასსაათიანი სასწავლო გეგმა, პროფესორ-მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია, საერთაშორისო სტუდენტურ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა (მ.შ. თარჯიმნად) და საზღვარგარეთის ქვეყნებში სტაჟირება უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ უცხო ენის სრულყოფილ შესწავლას.

სტუდენტები თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მიიღებენ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომს.

სწავლება ხუთწლიანია. გამოცდები ჩატარდება 3 საგანში: მათემატიკა (ტესტირება), საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია (ზეპირი), უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული — ზეპირი).

აბიტურიენტები გამოცდაზე დაიშვებიან მიმღებ კომისიაში წინასწარი გასაუბრების საფუძველზე. ტიპობრივ ტესტებსა და საგამოცდო საკითხებს გაეცნობით მიმღებ კომისიაში.

ინსტიტუტში სწავლება ფასიანია. სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ატესტატი (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №086);
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. ფოტოსურათი (6 ცალი ზომით 3x4);
6. პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთები მიიღება 20 ივლისიდან 19 აგვისტომდე, 10 საათიდან 15 საათამდე შაბათისა და კვირის გარდა. გამოცდები დაიწყება 20 აგვისტოს.

ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტს: ქ. თბილისი, ვ. ბერიძის ქ. 6 (საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობის გვერდით), ოთახი №3, ტელეფონი: 93-56-30.

სწავლის მსურველთათვის

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს შრომის და წარმოების ორგანიზაციის სახელმწიფო სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს 1992-93 სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია

2. წარმოების ორგანიზაცია და მართვა

3. სამეურნეო და შრომის სამართალი

4. საგარეო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობა

ინსტიტუტის ყველა სპეციალობაზე სწავლა 5-წლიანია.

ინსტიტუტის სასწავლო გეგმები შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

ინსტიტუტს აქვს საკუთარი სასწავლო ბაზა, კეთილმოწყობილი აუდიტორიები და ლაბორატორიები, გაძლიერებულად შეისწავლება უცხო ენა და კომპიუტერული ტექნიკა.

ინსტიტუტის მუშაობის რეჟიმი ერთცვლიანია, სწავლა იწარმოებს დილის საათებში, ინსტიტუტის სასწავლო შენობაში.

შრომის და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის სტუდენტები სწავლის პერიოდში სამხედრო სამსახურში არ გაიწვევიან.

მისაღები კონტინგენტი 150 კაცით განისაზღვრება. აქედან 45 აბიტურიენტი, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ყველაზე მეტ ქულას დააგროვებენ, განთავისუფლდებიან სწავლის ქირის გადახდისგან და მიეცემათ სტიპენდია, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დასაქმებული იქნებიან შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს სისტემაში. დანარჩენი სტუდენტებისთვის სწავლის ქირა შეადგენს 10 ათას მანეთს წელიწადში. ფასიანი სწავლებით ჩარიცხული სტუდენტები სწავლის შედეგებისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ უფასო სწავლებაზე და დაენიშნებათ სტიპენდია.

წარჩინებულ სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში სათანადო ანაზღაურებით.

ინსტიტუტი მიმდინარე წლის 30 ივლისს დღის 11 საათზე აწყობს ღია კარის დღეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

განცხადებები მიიღება 8 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები — 10 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ: საგარეო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის სპეციალობაზე:

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა — წერა

2. მათემატიკა — წერა

3. უცხო ენა — ზეპირი

დანარჩენ სპეციალობებზე:

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა—წერა

2. მათემატიკა — წერა

მისაღები გამოცდების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, 200 მანეთს, გადაიხდიან აბიტურიენტები.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 9-დან 15 საათამდე, მისამართით:

ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 228, შრომის და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი

ტელ.: 81-14-47, 81-87-98.

ინსტიტუტის დირექცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები

აცხადებენ მიღებას ფასიანი სწავლების სექტორზე სპორტული მედიცინის სპეციალობით 1992-93 სასწავლო წლისათვის (დღის სწავლების, ქართულ და რუსულ განყოფილებებზე), სადაც მომზადდებიან ექიმი სპეციალისტები სამედიცინო რეაბილიტაციაში (სხვადასხვა პროფილით — თერაპია, ქირურგია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, პედიატრია, მეან-გინეკოლოგია, ორთოპედია, ტრავმატოლოგია და სხვა). სპორტში, სხვადასხვა სამკურნალო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში (პოლიკლინიკები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები) სამუშაოდ.

პედაგოგთა შტატი ძირითადად დაკომპლექტებულია ივანე ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის გამოჩენილი მეცნიერების, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტების და თბილისის სამკურნალო კლინიკების ცნობილი პროფესორ-მასწავლებლებით. ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს საზღვარგარეთის ცნობილ მეცნიერებთან, რომლებიც მოწვეული იქნებიან ლექციების წასაკითხად. ნავარაუდევია სტუდენტთა გაცვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის შეუზღუდავად. აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება გასაუბრებით.

სწავლის ხანგრძლივობა 6 წელია.

სწავლა ფასიანია. სტუდენტები სწავლის ქირას იხდიან ყოველწლიურად. გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. გადასახდელი თანხა შემდგომში ყოველწლიურად შეიძლება შეიცვალოს ფულის კურსის ცვლილების მიხედვით, სწავლის საფასური ქირა (პირველი კურსის) სტუდენტებმა უნდა შეიტანონ ბანკში ამა წლის 25 სექტემბრამდე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ჯანმრთელობის ცნობა, (ფორმა № 086), ექვსი ფოტოსურათი (3X4); პასპორტს და სამხედრო ბილეთს, ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად. საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის 300 მანეთს საორგანიზაციო ხარჯებისთვის.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (კვირის გარდა), 25 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე 10-დან 16 საათამდე. ჩარიცხვა დამთავრდება 20 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ., 49, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შენობის IV სართული. ტელ.: 23-08-75. „ღია კარის" დღე გაიმართება 26 აგვისტოს 12 საათზე ინსტიტუტის შენობაში III სართულზე, ფიზიოლოგიის კათედრაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

ქართულად აჟღერდა...

რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გახარულმა მრავალი წლის შე-...

...

მერი ბაბრიაძე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საინფორმაციო კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

გამოფენა

ფერთა ელვარება „თეთრ გალერეაში"

...ციშვილს თვლის; მერე იყო სამხატვრო აკადემია, სადაც მისი პედაგოგები იყვნენ ზურაბ ლეჟავა და ალექსანდრე სარჩიმელიძე, 1987 წელს დაამთავრა სამრეწველო გრაფიკის ფაკულტეტი. ფართოა კახა ბახტაძის მხატვრული ინტერესების სფერო, ნაყოფიერად მუშაობს წიგნის გრაფიკაში, ...

...

სურათზე: კახა ბახტაძის ნამუშევარი „თიხის დოქი".

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

რეპლიკა

კეისარს კეისრისა

...

ლევან ციცქიშვილი.

ვიზიტი საქმიანი იყო

ჩინეთის ქალაქ ხარბინის საექსპორტო-საიმპორტო კომპანიის „ხანიაუანის" მიწვევით აქ რამდენიმე დღე იმყოფებოდა ჭიათურის დელეგაცია საქართველოს მთავრობის წამყვანი სახელმწიფო მრჩევლის კარლო ლეჟავას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ...

...

წიგნის თარო

„დედაენის" ავტორის ალბათ მოეწონებდა

რომ გადაეშალა და წაეკითხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტის ზურაბ ჩარანიძის ნაშრომი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი „ალგებრა და საქართველოს მატიანე", მათემატიკისა და ისტორიის, ამ ორი მეცნიერებათა...



...

ზურაბ რაზიკაშვილი.

იუსტიციის სამინისტროდან გვატყობინებენ

სამართალმა პური ჭამა

წარსულში სხვადასხვა დანაშაულისათვის სამჯერ ნასამართლევი ჯემალ ირაკლის ძე ბერაძე უკანონოდ სახელისაგან გათავისუფლდა 1981 წლის 15 ნოემბერს, მაგრამ არ დაადგა გამოსწორების გზას და 1992 წლის 22 მარტს ზურაბ ... ძე ... ერთად გაიტაცა ქარელის რაიონის ... ავტომანქანა ...-8452.

ე. მჭედლიშვილი დამნაშავედ ცნეს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მესამე ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია.

ამავე სასამართლოს 1992 წლის 9 ივნისის განაჩენით (მოსამართლე — ა. კორინთელი, მსაჯულები — ნ. წითლიშვილი და ...

...

განმარტება

...

კოკისპირული წვიმები ლანჩხუთში

...

...ბაგარ ჩხაიძე.

მომავალი მხატვრები

სიმონ კილაძის ფოტო.

მთავარი რედაქტორი ბურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

რედაქციაში ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, კოსტავას ქ. № 20.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერი 0488.